პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 აგვისტო, სამშაბათი, 1987 წ.
№ 150 (9561) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

# საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი

1917 1987 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

## 2—3 აგვისტო

⊙ ოქროს მედლები. ფეხბურთი — საქართველოს ნაკრები გუნდი; კლასიკური ჭიდაობა — ავთანდილ ხეცურიანი.

⊙ ვერცხლის მედლები. კლასიკური ჭიდაობა — საქართველოს ნაკრები გუნდი; დიმიტრი მულაძე, გიორგი ჯინჭველაშვილი; მხატვრული ტანვარჯიშში — ოლგა ულერშპირგელი.

⊙ ბრინჯაოს მედლები. კლასიკური ჭიდაობა — ნუგზარ ალიხანაშვილი, ოლეგ ქვაჩაკიძე, ზაზა მაისურაძე.

70

მქდვნება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

„ლელოს" კორესპონდენტები როდიონ ქორქია, ოთარ ნოზაძე, ნოდარ გუგუშვილი, ვაჟა დანელია, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ ხარაბაძე შეჯიბრებების ადგილებიდან გვატყობინებენ:

# ხვალინდელი დღის იმედი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 2 აგვისტო.

საქართველო (ნაკრები): გვაზავა, არჩვაძე, ლოკოტკოვი, გეგეშიძე, გელაძე, ხოსროშვილი, ნემსაძე, მანჯავიძე (დგებუაძე), გვახალია (თვაური), ნასუაშვილი, ტულუში.

უკრაინა (განათლების სამინისტროს ნაკრები): სობეშჩაკოვი, იარომკო, ჩირვა, გლადკი, მიხაილოვი, კოვალიოვი, გაშჩინი, სიდორენკო, კიცული, გერასიმენკო, ერშოვი (იანკოვოი).

მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი).

ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი თამაშის მიწურულს მინდვრიდან გააძევეს გაშჩინი.




სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მეტად საინტერესო საფეხბურთო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ნაკრები და უკრაინის განათლების სამინისტროს გუნდი. ორივე მეტოქემ ფინალს მეტად დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლების · შემდეგ მიაღწია, სხვათა შორის, ეს გუნდები წინასწარ, „ა" ჯგუფშიც ერთად გამოდიოდნენ. მათი შეხვედრა მაშინ ფრედ დამთავრდა — 0:0 და თამაში მაშინაც შეუპოვარი, უშელავათო ბრძოლით აღინიშნა, ახლა კი, ფინალში, ორივე მხარემ მინდორზე ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც კი შეეძლო.

მატჩის დასაწყისში საქართველოს ფეხბურთელებმა საკმაოდ მალე მიაღწიეს საგრძნობ ტერიტორიულ

იხ. მე-2 გვ.



სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების საფეხბურთო ტურნირის ჩემპიონი საქართველოს ნაკრები.

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს კალათბურთელთა შეხვედრები. პირველი ტურის შედეგები ასეთია: ჭაბუკები. დასავლეთი ზონა — „უროჟაი" — 90:51 (60:20), პროფკავშირები-II სამხრეთი ზონა — 74:70 (38:30), რსფსრ — პროფკავშირები-I — 98:67 (50:33), საქართველო-საბჭოთა. არმია — 63:45 (36:22).

გოგონები: განათლების სამინისტრო (დასავლეთი ზონა) — „დინამო" 106:22 (46:15), უკრაინა — საქართველო — 74:70 (33:37).

გუშინ ჩვენმა ჭაბუკებმა მოუგეს უკრაინელ თანატოლებს — 74:50 (32:21), გოგონებმა კი სძლიეს „დინამოს" ნაკრებს — 99:63 (40:33).



# ცხრილი შედარებისთვის

მდგომარეობა 4 აგვისტოსთვის

| სპორტის სახეობა | მოსწავლეთა XVII სპარტაკიადა 1985 წ. | | | | სპორტსკოლების მოსწავლეთა თამაშები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
| მძლეოსნობა | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 5 |
| სპორტული ტანვარჯიში | 4 | 1 | 3 | 8 | 2 | 0 | 2 | 4 |
| ძალოსნობა | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 2 |
| წყალბურთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| ნიჩბოსნობა (ბაიდ. და კან) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| კრივი | 2 | 1 | 4 | 7 | 5 | 4 | 4 | 13 |
| ცურვა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საგზატკეცილო ველორბ. | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფრენბურთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჭადრაკი | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფეხბურთი | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 |
| მაგიდის ჩოგბურთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სამბო | არ ჩატარებულა | | | | 3 | 3 | 2 | 8 |
| მხატ. ტანვარჯიში | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| კლასიკური ჭიდაობა | 2 | 2 | 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 6 |
| სულ | 8 | 6 | 11 | 25 | 14 | 12 | 16 | 42 |

# მედალი ექვსი, ადგილი მეორე

დამთავრდა შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. ფინალში გამოდიოდა ჩვენი რესპუბლიკის სამი წარმომადგენელი: დიმიტრი მულაძე (48 კგ), ავთანდილ ხეცურიანი (56 კგ) და გიორგი ჯინჭველაშვილი (64 კგ). ავთანდილ ხეცურიანმა გადამწყვეტი ბრძოლა 4 წუთსა და 50 წამში სუფთად მოუგო ასკარ ალიევს (სამხრეთი ზონა) და ოქროს მედალი დაისაკუთრა. დანარჩენები მეორე ადგილს დასჯერდნენ. ჩვენი ფალავნებიდან მესამე ადგილზე გავიდნენ: ნუგზარ ალიხანაშვილი (69), ოლეგ ქვაჩაკიძე (74) და ზაზა მაისურაძე (80).



ავთანდილ ხეცურიანი (1 ადგილი).

სხვა წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: იური ბალინსკი (42 კგ, დასავლეთი ზონა), ასაფ გაჯიევი (45 კგ, სამხრეთი ზონა), ალფ. მკრტიჩიანი (48 კგ, „დინამო"), ვარდენ აგაჯანიანი (52 კგ, სამხრეთი ზონა), აკოფ დაშიანი (60 კგ. სამხრეთი ზონა), ალექსანდრე პოკალო (64 კგ, პროფკავშირები-II), არტაკ ავაკიანი (69 კგ, პროფკავშირები-I), სერგეი მატვიენკო (74 კგ, სამხრეთი ზონა), ვლადიმერ კობაიძე (80 კგ, პროფკავშირები-I), ვადიმ ეროხინი (87 კგ, უკრაინა), იური ევსეიჩიკი (87 კგ ზევით „შრომითი რეზერვები"), საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა პროფკავშირების I ნაკრებმა — 130 ქულა, მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს ნაკრები (98), მესამეზე — უკრაინის გუნდი (96).

# ჩვენი ჭაბუკები—ფინალში

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები სამხრეთი ზონის გუნდს რომ დაამარცხებდა, ამაში ეჭვი ... ეპარებოდა. მარტო იმიტომ კი არა, რომ სტუმართა გუნდმა ყველა შეხვედრა წააგო და გათამაშების ცხრილში (ორივე ქვეჯგუფის ჩათვლით) მხოლოდ მას ეწერა ნოლი, დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი ხელბურთელები ხელიდან არ გაუშვებდნენ გადამწყვეტ სტადიაში — ფინალურ ოთხეულში გასვლის შესაძლებლობას. როგორც იცით, მასპინძლებმა ეს შესაძლებლობა სრულად გამოიყენეს. სამხრეთი ზონის გუნდმა ნამდვილი მეტოქეობა მხოლოდ პირველი 10-12 წუთის მანძილზე გაგვიწია (ანგარიში თანაბარი იყო), მაგრამ თეიმურაზ მერკვილიშვილმა დააწინაურა თავისი გუნდი, და ამის შემდეგ ჩვენს ხელბურთელებს მოპოვებული უპირატესობა (სათამაშო და ანგარიშშიც) აღარ დაუკარგავთ — ელექტროტაბლოზე ციფრების სხვაობა სულ უფრო იზრდებოდა. ტაიმი მოვიგეთ 12:8, მატჩი კი — 32:21 და ჩვენს ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გავედით. შეჯიბრების დებულების თანახმად, ამის შემდეგ „ა" ქვეჯგუფის გამარჯვებულთან უნდა გვეთამაშა. იგი აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს ნაკრები, რომელმაც თუმცა პატარა ანგარიშით, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად სძლია პროფკავშირების პირველ გუნდს — 19:17 (13:10).

გუშინ „ბურევესტნიკის" სპორ-

იხ. მე-2 გვ.

21 ვ კვარცხლბეკი

მხატვრული ტანვარჯიში

ბათუმი. მხატვრული ტანვარჯიში. ფინალური ასპარეზობა.

უსაგნოდ ვარჯიში — 1. ქრისტინა კლუკიავიჩუტე 18,35 (დასავლეთი ზონა, განათლების სამინისტრო), 2. ოლგა ულერშპირგელი 18,2 (საქართველო), 3. ჟანა პოპოვა 18,1 (რსფსრ-ს განათლების სამინისტრო).

სახტუნელა — 1. ქრისტინა კლუკიავიჩუტე 18,55, 2. ნატალია ჩერნოვა 18,2 (პროფკავშირები-II), 3-4. ნატალია სიმაშკევიჩი (რსფსრ-ს განათლების სამინისტრო) და ნატალია მიტიუშოვა (პროფკავშირები-I) — 18,2... 7. ოლგა ულერშპირგელი 17,95.

რგოლი — 1. ქრისტინა კლუკიავიჩუტე 18,45, 2. ნატალია მიტიუშოვა 18,37, 3. ელენა შამატულსკაია 18,19 (რსფსრ).

ბურთი — 1. ქრისტინა კლუკიავიჩუტე 18,4, 2. ნატალია ჩერნოვა 18,4, 3. ელენა შამატულსკაია 18,3 ... 8. ოლგა ულერშპირგელი 17,75.

ლენტი — 1. ნატალია მიტიუშოვა 18,4, 2. ნატალია სიმაშკევიჩი 18,35, 3. ნატალია ჩერნოვა 18,5... 6. ოლგა ულერშპირგელი 18,05.

(დასასრული იქნება)

# თამაშები და მედლები

მდგომარეობა 4 აგვისტოსთვის

| ადგილი | გუნდი | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | პროფკავშირები-I | 57 | 29 | 32 | 118 |
| 2. | რსფსრ | 33 | 30 | 40 | 103 |
| 3. | პროფკავშირები-II | 16 | 30 | 28 | 74 |
| 4. | „დინამო" | 15 | 21 | 32 | 68 |
| 5. | დასავლეთი ზონა | 10 | 16 | 15 | 41 |
| 6. | საქართველო | 13 | 10 | 13 | 36 |
| 7. | უკრაინა | 9 | 12 | 14 | 35 |
| 8. | სამხრეთი ზონა | 8 | 7 | 12 | 27 |
| 9. | საბჭოთა არმია | 7 | 10 | 6 | 23 |
| 10. | „უროჟაი" | 6 | 3 | 10 | 19 |
| 11. | „შრ. რეზერვები" | 4 | 4 | 4 | 12 |

შენიშვნა: ცხრილში შესულია კრივში, სამბოში, საგზატკეცილო ველოსპორტში, წყალბურთში, ფრენბურთში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, ნიჩბოსნობაში (ბაიდარა და კანოე), მძლეოსნობაში, ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ჭადრაკში და ფეხბურთში დამთავრებული შეჯიბრებების შედეგები.

# სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხვალინდელი დღის იმედი

(დასასრული)

უპირატესობას და პირველი 20-25 წუთი თითქმის მთლიანად მეტოქის ნახევარზე გაატარეს. უკრაინელები ამ პერიოდში მხოლოდ დაცვითს ოპერაციებს უნდებოდნენ და, უნდა ითქვას, უნარიანადაც იცავდნენ თავს. დაუსრულებელმა შეტევებმა, ეტყობა, მოქანცა მასპინძელთა გუნდი და უკრაინელებმა თანდათან გაათანაბრეს თამაში, მაგრამ ტაიმის დასასრულს საქართველოს ფეხბურთელებმა კვლავ შეუტიეს, შეუტიეს დიდი ძალებით, ტემპიანად და, რაც მთავარია, შედეგიანად: 32-ე წუთზე ბურთი მიიღო ნასუაშვილმა, გვერდი აუქცია მცველს და ძლიერად დაარტყა — 1:0, ორიოდე წუთის შემდეგ ნასუაშვილმა კარგად გაიყვანა გარღვევაზე მანჯავიძე და მეკარე სობეშჩაკოვის კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა — 2:0.

შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. უკრაინელი ფეხბურთელები მთელი ძალით ამოქმედდნენ, მათი ენერგია და შეტევა იმდენად მძლავრი იყო, რომ მასპინძლებს ერთხანს მხოლოდ დაცვაზე უხდებოდათ ფიქრი, მათ ხელიდან გაუშვეს ინიციატივა და მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს ჩვეული ურთიერთმოქმედების აღდგენა რგოლებს შორის. უკრაინელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ



ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადაეცა გიორგი ნემსაძეს.

მხოლოდ ერთ საპასუხო გოლს დასჯერდნენ (კიცული) და გამარჯვებაც უფრო ძლიერ მეტოქეს დაუთმეს — 1:2.

**„ძლიერ მეტოქეს" შემთხვევით არ ვამბობთ. ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ნ. ამირეჯიბმა რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმს ოფიციალურად მოახსენა, რომ საქართველოს ძლიერი ნაკრები ჰყავს, რომელიც სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მომავალ საფეხბურთო ტურნირში იბრძოლებს მხოლოდ და მხოლოდ მაღალი მაჩვენებლებისთვის, უფრო კონკრეტულად კი — პირველი ადგილისთვის.**

**მწვრთნელის სიტყვები მართალი გამოდგა. საქართველოს ნაკრები, რომელიც 1972 წელს დაბადებული ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, თავიდანვე გათამაშების ფავორიტი იყო და ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, რასაც ჩვენ ადრევე მივუთითებდით, სრული უფლება ჰქონდა ებრძოლა პირველი ადგილისთვის. რა ხარვეზები იყო ეს? დაცვის მოთამაშეთა ცალკეული შეუთანხმებლობანი, ინდივიდუალური თამაშით ჭარბი გატაცება, კომბინაციური კოლექტივიზმის სიმცირე, მაგრამ ყველაფერი ეს ეპატიება 15 წლის ნორჩ ფეხბურთელებს, უმთავრესი კი ისაა, რომ ჩვენს ნაკრებში გამოდის ნიჭიერ, პერსპექტიულ მოთამაშეთა მთელი წყება, იშვიათი საფეხბურთო ტალანტით უხვად დაჯილდოებულ ჭაბუკებს კი შეუძლიათ გზა გაიკაფონ დიდი ფეხბურთისაკენ და სწორედ ის საიმედო რეზერვი შექმნან, რომელიც ესოდენ მწვავედ გვჭირდება ჩვენ ახლა.**



**ფეხბურთში თამაშების პროგრამით შეჯიბრების დაწყებამდე 10 დღით ადრე, 14 ივლისს, მცხეთაში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებმა ფიცი დადეს, რომელიც ფეხბურთელთა ხელმოწერით ასპარეზობის დაწყების წინ გადასცეს უფროს მწვრთნელს ნიკოლოზ ამირეჯიბს. მაშინ ფიცის ტექსტი უფროსმა მწვრთნელმა ჩვენი რედაქციის წარმომადგენლებსაც უჩვენა და დაპირდა, რომ თუ გუნდი ჩემპიონი გახდებოდა, ჭაბუკთა მეგობრული კოლექტივის ამ დოკუმენტს რედაქციას გადასცემდა (შევნიშნავთ, რომ „ლელო" გუნდის ერთ-ერთი შეფი იყო).**

ტრიბუნიდან მაყურებელი ნეიტრალური კაცის თვალით შევვიძლია გამოვყოთ ჩვენი გუნდის ის პერსპექტიული მოთამაშეები, რომლებიც ქართული ფეხბურთის საიმედო მომავლად გვესახება, მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო გონივრული იქნება, ყური მივუგდოთ გუნდის ხელმძღვანელთა თხოვნას და მთელი ამ მეგობრული კოლექტივიდან საგანგებოდ არ გამოვყოთ ერთეულები, რაც უნდა დიდი წიჭით იყვნენ ისინი დაჯილდოებული. ეს მართლაც ასეა: ჭაბუკი სპორტსმენის ნატურა ჯერ სათუთია, ფაქიზი, გამოჰყო ერთი, თუნდაც უკეთესი, და ჩრდილში დატოვო სხვა, რომელიც თავის შესაძლებლობებს არ იშურებს კოლექტივისთვის, სწორი არ იქნებოდა. და რახან გასაკიცხი ამ ტურნირში არ გვყავს არც ერთი ფეხბურთელი, თავისი შესაძლებლობები არ დაუშურებია თითოეულ ჩვენს მოთამაშეს, დავეთანხმოთ მწვრთნელებს: ყველამ კარგად ითამაშა, ყველამ თავისი შესაძლებლობები გამოავლინა და ეს ერთობლივი გამარჯვებაც მით უფრო სასიხარულო, სარწმუნო და საიმედოა.



ფეხბურთის მოყვარულმა, მკითხველმა კარგად იცის, რომ საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები ხშირად აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს საკავშირო შეჯიბრებებში. მაგრამ დრო გადის და ის ნიჭიერი ფეხბურთელები, რომელთა მდიდარ შესაძლებლობებზე ამდენს ვლაპარაკობთ, შემდგომში გვეკარგებიან, პერსპექტიულნი თვალსა და ხელს შუა გვეცლებიან, ამიტომაც სწორედ აქედანვე, ბავშვობიდან თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ ისეთ ტალანტებს, როგორებიც გ. ნემსაძე, ს. ნასუაშვილი, თ. ტუღუში და მათი მეგობრები არიან, **უშეცდომო პროფესიული კონტროლის ქვეშ ვიყოლიოთ ისინი, ქარს არ გავატანოთ ის ტალანტი, რომლებიც ასე უხვადა გვყავს ჩვენი ფეხბურთის სათავეებთან. თითოეულ ასეთ ნიჭიერ ფეხბურთელს უშუალოდ მისმა მწვრთნელებმაც, სპორტულმა უწყებებმაც, მშობლებმაც და ჩვენც, საფეხბურთო საზოგადოებრიობამ, ბოლომდე უნდა მივატანოთ თვალი. ახლა, როცა რესპუბლიკის უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების გუნდებში ასე მწვავედ განვიცდით მაღალი კლასის ფეხბურთელთა სიმცირეს, ეს გონივრული კონტროლი სისტემად უნდა ვაქციოთ, არ უნდა დაგვეკარგოს არც ერთი პერსპექტიული ფეხბურთელი, არც ერთი ტალანტი.**

**ამ გუნდს შენარჩუნება უნდა.**

დაბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია ჩამოვთვალოთ ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც განვლილ მეტად საინტერესო ტურნირში მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში **თბილისის 35-ე სკოლიდან** გამოდიოდნენ ჯ. გვაზავა, კ. ამირაჯიბი, მ. დაბრუნდაშვილი, ი. ნასუაშვილი, კ. ნინუა, ნ. სირაძე, ზ. თვაური, ვ. ხვადაგიანი, გ. ჭილლაძე, **თბილისის „დინამოდან"** — ვ. გეგეშიძე, ა. გელაძე, დ. ჯანელიძე, ვ. მაისურაძე, გ. ნემსაძე, გ. ხოსროშვილი, **რუსთავიდან** — ზ. არჩვაძე, **ხობიდან** — ე. გვასალია, **გაგრიდან** — კ. დგებუაძე და რ. ლოკოტკოვი, **ქუთაისიდან** — გ. მანჯავიძე, **ბათუმიდან** — თ. ტუღუში. ნაკრების უფროსი მწვრთნელია რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი **ნ. ამირეჯიბი**, გუნდის უფროსი — სპორტის ოსტატი **გ. მუმლაძე**, მწვრთნელები — **ლ. ვერულიძე** (რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი), **გ. შავდია** და **ნ. მუმლაძე**.

შეჯიბრების ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ მოეწყო გამარჯვებულთა დაჯილდოება. ჩემპიონთა ბროლის თასი, ოქროს ჟეტონები და საპატიო დიპლომები ჩაიბარეს საქართველოს ფეხბურთელებმა, მომდევნო ადგილები დაიკავეს უკრაინის, რსფსრ-ისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სამხრეთის ზონის გუნდებმა (მესამე ადგილისთვის ბრძოლაში რსფსრ-ის ფეხბურთელებმა დაამარცხეს სამხრეთის ზონის გუნდი — 4:1).

ტურნირის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს გ. ნემსაძეს.



საქართველოს ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი სოსო ნასუაშვილი შეტევის დროს.

## ჩვენი ჭაბუკები — ფინალში

(დასასრული)

ტულ კომპლექსში გაიმართა ფინალური ოთხეულის მატჩები. პირველნი საასპარეზოდ საქართველოსა და დასავლეთი ზონის გუნდები გამოვიდნენ. ანგარიშით 25:20 (12:12) დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ქართველმა ხელბურთელებმა.

რსფსრ-ისა და უკრაინის განათლების სამინისტროების გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა — 23:12 (12:5).

ამრიგად, დღეს გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის გუნდები. თამაში 11 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

ამავე დღეს მესამე ადგილისათვის იბრძოლებენ (დილის 10 საათიდან) უკრაინისა და დასავლეთის ზონის გუნდები.

## კლასი მაინც კლასია

**ხელბურთელ** გოგონათა ტურნირზე უკრაინისა და რსფსრ-ის ძლიერი კოლექტივების მატჩი ნებისმიერ ფინალს დაამშვენებდა. პირველი ტაიმის მიწურულს უკრაინელთა გუნდის წევრმა, კიევის „სპარტაკის" მოთამაშემ სპორტის ოსტატმა ნატალია ტურჩინამ შორიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა გოლი და (12:11) თავისი გუნდი დააწინაურა. მეორე ნახევარიც უკრაინელთა უპირატესობით წარიმართა და გამარჯვება მათ დარჩათ — 26:22.

პროფკავშირების პირველმა ნაკრებმა დაამარცხა მეორე გუნდი — 20:19 (12:9).

ფინალური მატჩი გუშინ შედგა. უკრაინელმა გოგონებმა ამჯერადაც თამაშის ძლიერი კლასი აჩვენეს, მოუგეს მეტოქეს — პროფკავშირების პირველ ნაკრებს — 26:22 (14:14) და ოქროს მედლები დაისაკუთრეს. ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში პროფკავშირების მეორე ნაკრებმა დაამარცხა რსფსრ-ის ხელბურთელები — 21:20 (11:10). მეხუთე ადგილი დაიკავა „უროჟაის" გუნდმა, რომელმაც საკავშირო განათლების სამინისტროს დასავლეთი ზონის სპორტსმენები დაამარცხა — 20:19 (12:9).

**საქართველოს გოგონათა გუნდმა, როგორც ვიუწყებოდით, ყველა მატჩი წააგო და ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა. ეს ფაქტი უდავოდ საგანგაშოა, ვფიქრობთ, მეტის მოცდა და მოთმენა აღარ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გატარდეს რადიკალური ზომები? ვინმემ ხომ უნდა აგოს პასუხი გოგონათა ხელბურთის ასეთი სამარცხვინო ჩავარდნისათვის?**

## ელვა-ინფორმაცია

**ქუთაისში დაიწყო მოფარიკავეთა ასპარეზობა. რაპირისტთა შორის საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა გუნდურ პირველობაში მეოთხე ადგილი დაიკავა.**

**თბილისში ჩოგბურთელთა პირველი წრის შეხვედრები გაიმართა. ბიჭებში გ. ტყემალაძემ მოუგო უკრაინელ ტ. დანელიშინს, გოგონებში ნ. ქაცარავა დამარცხდა ლატვიელ ლ. ბეიკერტესთან.**



# თქვენ რას იტყვით, კოლეგა?

**ვლადიმერ კობანოვი,**

**აზერბაიჯანის გაზეთ „სპორტის" უფროსი კორესპონდენტი. გულშემატკივრები მას უფრო იმით იცნობენ, რომ კოგანოვს ხშირად უმსაჯია (მათ შორის — თბილისშიც) ფეხბურთელთა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში.**

—სტუმრის ჩვეულებრივ თავაზიანობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ თამაშების ორგანიზაციაზე და მთავარი პრესცენტრის მუშაობაზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. ყველგან თავაზიანად გვეგებებიან. ამან არ შეიძლება არ მოგხიბლოთ. მთავარ პრესცენტრში კი დილიდან გვიან საღამომდე, ყველა მზად არის ყოველნაირად დაგეხმაროს და საქმე გაგიიოლოს...

კარგად არის გადაწყვეტილი ჟურნალისტთა თავისუფალი დროის პრობლემა, თუმცა, მუშაობის ხასიათის გამო, მუდმივ „ცაიტნოტში" ვართ. უკვე ვიყავით მცხეთაში, დაგვათვალიერებინეს თბილისის ქუჩები, ხელოვნების მუზეუმი... ერთი სიტყვით, სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პრესცენტრი ჩვენთვის კეთილი მასპინძელია.

### 21–3 კალეიდოსკოპი

**ცურვა.** ხობის საცურაო აუზი. **ბრასი 100 მ.** ვ. პაშჩენკო — 1.13,47, ვ. არსენცევი (ორივე — პროფკავშირები-I) — 1.14,06, ა. კორნევი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 1.14,28, ...XIX ვ. ზოლოტარიოვი— — 1.20,63, ...XXIII — ა. კირბიანოვი — 1.21,40, ...XXVI მ. მოსიშვილი — 1.22,18, ...XXVIII — მ. ხუბაევი (ოთხივე — საქართველო) — 1.22,96; **გულაღმა 200 მ.** ა. გრაბიკი (პროფკავშირები-I) — 2.47,72, ვ. ვასილიევი (პროფკავშირები-II) — 2.25,09, ს. პანოვი (პროფკავშირები-I) — 2.25,51, ...XXII დ. მოროზოვი —2.38,67, ...XXVII — ა. კონტრიძე (ორივე — საქართველო) — 2.41,76; **ესტაფეტა. თავისუფალი სტილი. 4X200.** პროფკავშირები-I—8.35,79, რსფსრ-ის განათლების სამინისტრო — 8.42,29, „დინამო" — 8.52,28, ...VIII საქართველო — 9.13.10.

**ბიჭები. თავისუფალი სტილი. 200 მ.** ა. კაშენცევი (პროფკავშირები I) — 2.05,55, დ. პონკრატოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 2.07,80, ა. ერმაკოვი (პროფკავშირები I) — 2.08,51, ... XVI. კ. ჯეირანიანი — 2.15,13, XXVI. შ. ხუნაშვილი — 2.18,09, XXV. გ. არუთინოვი — 2.10.07, XXVIII. ბ. ჩხაიძე (ოთხივე — საქართველო) — 2.21,16; **გულაღმა. 50 მ.** მ. გავრილოვი — 31,34, ა. გრაბიკი (ორივე — პროფკავშირები I) — 31,40, ა. გოლოსოვი (უკრაინის განათლების სამინისტრო) — 31,46, ...,XV. დ. კანარევი — 34,63, XVI. ა. კონტრიძე — 34,88, ...XXIII. დ. მოროზოვი (სამივე — საქართველო) — 35,66.. **ბატერფლაი. 100 მ.** ა. კლოჩკოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 1.05,04, ო. სიმონენკო— 1.05,73, ა. ნაუმენკო (ორივე — „დინამო") — 1.05,79, ...,XVIII. ი. ბაკლაგოვი (საქართველო) 1.10,3. **კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ.** პროფკავშირები I — 4.26,95, „დინამო" — 4.28,58, რსფსრ-ის განათლების სამინისტრო — 4.28,71, ...VIII. საქართველო — 4.47,50.

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 146.

(დასასრული იქნება).

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

გუშინ ლანჩხუთში სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ტურის გამოტოვებულ მატჩში ადგილობრივმა „გურიამ" მიიღო კიევის „დინამო".
თამაში დამთავრდა. ფრედ — 0:0.

ფეხბურთის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ ლანჩხუთის „გურიაში" აღარ მუშაობენ უფროსი მწვრთნელი ა. კოტრიკაძე და გუნდის უფროსი გ. ბაქანიძე. გუნდს ამჟამად ხელმძღვანელობს მეორე მწვრთნელი ბ. სიხარულიძე.

### საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXV ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის: „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) 2:0, „დინამო" (გაგრა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — 2:1, „სპარტაკი" (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „სქური" (წალენჯიხა) 1:3, „კახეთი" (თელავი) „მერცხალი" (მახარაძე) 2:2, „დინამო" (ზუგდიდი) — „მადრევანი" (წყალტუბო) 2:3, „ივერია" (ხაშური) — „კოლხეთი" (ხობი) 1:1, „ამირანი" (ოჩამჩირე) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 3:0, „ეგრისი" (ცხაკაია) — „იმერეთი" (ქუთაისი) 6:3, „სულორი" (ვანი) — „მადნეული" (ბოლნისი) 2:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 5:1. მცხეთის „არმაზისა" და გორის რაიონის „ქართლის" შეხვედრა გადაიდო.

### I ლიგა

განვლილ შაბათ-კვირას შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 24-ე ტურის მატჩები.

**„დინამო" (ბათუმი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:0 (0:0).**

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 1 აგვისტო.

„**დინამო**": ბალაძე, გოგიტიძე, თორლაშვილი (ქობელაშვილი), ჟურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კილოიაშვილი, ათუაშვილი, ბარათაშვილი, გორგილაძე, მაისურაძე (ანდღულაძე).

„**კრ. სოვეტოვი**": გაუხი, გალიულოვი, პოპოვი, ვედენეევი, ტიმოფეევი (კოჩერგინი), ხოროკინი, მასლოვი, სოჩნოვი, გალიამინი (შარიპოვი), ლაგუტენკო, მინაჩევი.

მსაჯი ვ. ნოვიკოვი (მოსკოვი).

ბათუმელ ფეხბურთელებს ჯერ კიდევ უხდებათ ფიქრი სახიფათო ზონიდან თავის დასაღწევად, ამას გარდა, პირველ წრეში მათ კუიბიშევში ანგარიშით 0:3 იწვნიეს მარცხი და რევანშზეც უნდა ეზრუნათ.

მასპინძლებმა ორივე ამოცანა წარმატებით გადაჭრეს, თუმცა, პირველი 45 წუთის მანძილზე განუწყვეტლივ უტევდნენ და შედეგს ვერ მიაღწიეს. კუიბიშეველთა კართან უამრავი საგოლე მომენტი შეიქმნა, ვერც ერთი მათგანი ვერ გამოიყენეს, მაგრამ გაცილებით უფრო შედეგიანი იყო მეორე ტაიმი. დინამოელებს სრული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, 70-ე წუთზე გორგილაძემ ზუსტი გადაცემით გაიყვანა სახიფათო პოზიციაში გოგიტიძე და ანგარიშიც გაიხსნა, მატჩის დასასრულს კი ქობელაშვილმა სწრაფად აართვა ბურთი მეტოქის მცველს და მეორედ აიღო „კრილია სოვეტოვის" კარი — 2:0.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).**

### სსრ კავშირის თასზე

**2 აგვისტოს** ვილნიუსში გაიმართა სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალის პირველი შეხვედრა ადგილობრივ „ჟალგირისსა" და II ლიგის წარმომადგენელ ფერგანის „ნეფტიანიკს" შორის.

მატჩი საკმაოდ უჩვეულო ანგარიშით დამთავრდა — 8:3 გაიმარჯვეს ვილნიუსელმა ფეხბურთელებმა.

დონეცკის „შახტიორმა" მერვედფინალის პირველი შეხვედრა საკუთარ მინდორზე წააგო მოსკოვის „სპარტაკთან" — 0:1.

დღეს გაიმართება სხვა მერვედფინალური მატჩები. თბილისის „დინამო" ლენინგრადში შეხვდება „ზენიტს", ხოლო სოხუმის „დინამო" ხარკოვში ითამაშებს „მეტალისტთან".

# მსაჯები კვლავ სცოდავენ

**საკავშირო** საფეხბურთო შეჯიბრებებში სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ მსაჯებმა არაკვალიფიციურად ჩაატარეს შეხვედრები, შეცდომები ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდენენ მატჩების შედეგებზე, არასწორ სურათს გვაძლევენ ჩვენი გუნდების ძალასა და შესაძლებლობაზე.

ამის თაობაზე ჩვენს პრესაში ბოლო ხანებში მრავალი წერილი გამოქვეყნდა, სულ ახლახან შეფასება „2" მიიღო I ლიგის გუნდების ზაპოროჟიეს „მეტალურგისა" და რიგის „დაუგავას" არბიტრმა ი. კოროლიოვმა (კუიბიშევი), ეს შეფასება კი გამოიტანა მატჩის ინსპექტორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ნიკოლაევმა.

ასეთივე „2" დაიმსახურა ლენინგრადის „ზენიტისა" და ლანჩხუთის „გურიის" გვერდითმა მსაჯმა ვ. გუშჩევმა, რომელმაც არ აღნიშნა „გურიის" კარში გატანილი მეორე გოლი.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ხშირი შეცდომებისა, რომლებიც ჩვენს მსაჯებს მოსდით. ამიტომ მსაჯთა საკავშირო კოლეგიის მუშაობის საკითხი განიხილა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ. სხდომამ ერთსულოვნად აღნიშნა მსაჯთა კოლეგიის წლევანდელი აშკარად სუსტი მუშაობა, მაგრამ მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობის განახლების საკითხი გადატანილი იქნა შემდგომი სხდომისათვის, ვინაიდან კოლეგიის თავმჯდომარე ვ. ზუევმა ფედერაციის სხდომაზე ითხოვა მიეცეს საშუალება საკუთრივ გადაწყვიტოს შეუძლია თუ არა მუშაობა ამ საპასუხისმგებლო პოსტზე.

ამ სხდომაზე პრეზიდიუმის წევრთა შეხედულებები გაიყო. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ბ. ტოპორნინი არბიტრთა კოლეგიისთვის ახალ თავმჯდომარეს მოითხოვდა, მისი მოადგილე, სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ვ. კოლოსკოვი კი იმ აზრისა იყო, რომ ვ. ზუევისათვის საშუალება მიეცათ დეკემბრამდე გამოესწორებინა მსაჯთა კოლეგიის საქმიანობა.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე ხელახლა განიხილეს იმ დარღვევების საკითხი, რომელიც მოხდა ლანჩხუთის „გურიისა" და მინსკის „დინამოს" მატჩში. ფედერაციის პრეზიდიუმმა მინსკელ ფეხბურთელს ა. კისტენს 5 თამაშით დისკვალიფიკაცია მისცა, ხოლო ლანჩხუთელ მ. მახარაძეს სეზონის ბოლომდე აეკრძალა თავისი გუნდის მატჩებში მონაწილეობა.

**„ტორპედო" (ქუთაისი) — „გეოლოგი" (ტიუმენი) 0:1 (0:0).**

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1 აგვისტო.

„**ტორპედო**": მიქაძე, პაპავა, თევზაძე, ჰელიძე, ფრუიძე (გოგელიძე), ბზიკაძე, ბიგვავა, მანაგაძე (ხუნდაძე), ტყავაძე, ხარაბაძე, ციკარიშვილი.

„**გეოლოგი**": კნიაზევი, შიშკინი, ბოგაჩოვი, პოდპალიი, პეტრუხინი, ნიკიფოროვი, ილინი, ხოხლოვი (ფეოქტისტოვი), ზარვა (ფედინი), მირნი, სიდოროვი.

მსაჯი ი. გურმანი (დუშანბე).

გააფრთხილეს ილინი.

ძალზე ძნელია ახლა ქუთაისის „ტორპედოს" კალენდარული მატჩების რეცენზირება. ტორპედოელებს თითოეული ქულისთვის თავგამოდებული ბრძოლა მართებთ საერთოდ და კონკრეტულად მაშინ. როცა შინ ღებულობენ მეტოქეებს. განვლილ ტურში მათ სწორედ საკუთარ მინდორზე მიიღეს მეტოქე და ამ უმძიმეს მდგომარეობაშიც კი მორიგი მარცხი განიცადეს. „გეოლოგი" რომ ისეთი ძალის მეტოქე იყოს, რომელთანაც ბრძოლა ქუთაისელ ფეხბურთელთა ძალებს აღემატება, ეს გასაგები იქნებოდა. მაგრამ ტიუმენელებმა ამჯერად ხეირიანი ვერაფერი აჩვენეს, ისინი მთელი თამაშის განმავლობაში მხოლოდ თავს იცავდნენ, იშვიათად თუ მიაღწევდნენ მეტოქის კარს. მაგრამ სწორედ ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას გაიტანა სიდოროვმა გადამწყვეტი ბურთი.

„ტორპედომ" ანგარიშის გათანაბრებაც ვერ შეძლო. გუნდის ხელმძღვანელობა, თითოეული ფეხბურთელი სრული სერიოზულობით უნდა ჩაუფიქრდეს შექმნილ მდგომარეობას, ყველაფერი გააკეთოს იმისოდ, რომ გული არ დაწყვიტოს ქუთაისელთა მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს, შეინარჩუნონ ადგილი I ლიგაში. წინ გათამაშების მთელი წრეა.

**თამაზ ხარაბაძე,**
**(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).**

* * *

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „დინამო" (სტავროპოლი) 3:3, ასკ (დონის როსტოვი) — „პამირი" (დუშანბე) 1:3, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კუზბასი" (კემეროვო) 0:0, „ფაკელი" (ვორონეჟი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 1:3, „როტორი" (ვოლგოგრადი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 3:3, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — „დაუგავა" (რიგა) 0:3, „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „შინიკი" (იაროსლავლი) 3:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 3:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორ." | 22 | 16 | 6 | 0 | 37-10 | 38 |
| „ლოკომოტ." | 23 | 12 | 8 | 3 | 31-13 | 32 |
| „დაუგავა" | 22 | 12 | 6 | 4 | 37-19 | 30 |
| „კოლოსი" | 23 | 12 | 4 | 7 | 32-24 | 28 |
| „როსტსელ." | 22 | 10 | 5 | 7 | 32-28 | 25 |
| „დინამო" სტ. | 22 | 9 | 7 | 6 | 25-26 | 25 |
| „მეტალურგი" | 23 | 9 | 6 | 8 | 34-25 | 24 |
| „პამირი" | 23 | 9 | 5 | 9 | 30-27 | 23 |
| „გეოლოგი" | 23 | 9 | 5 | 9 | 25-25 | 23 |
| „შინიკი" | 23 | 9 | 5 | 9 | 15-21 | 23 |
| „კუზბასი" | 23 | 7 | 8 | 8 | 20-15 | 22 |
| ასკ „კარპ." | 23 | 7 | 8 | 8 | 25-25 | 22 |
| „ზარია" | 23 | 7 | 8 | 8 | 24-31 | 22 |
| „ფახთაქორი" | 23 | 7 | 7 | 9 | 21-25 | 21 |
| „დინამო" ბ. | 23 | 7 | 6 | 10 | 20-22 | 20 |
| „სპარტაკი" | 23 | 6 | 8 | 9 | 14-22 | 20 |
| „როტორი" | 23 | 8 | 3 | 12 | 28-36 | 19 |
| ასკ რ. | 23 | 8 | 3 | 12 | 17-28 | 19 |
| „ტორპ." ქ. | 23 | 5 | 8 | 10 | 16-28 | 18 |
| „კოტაიკი" | 23 | 6 | 4 | 13 | 23-35 | 16 |
| „კრ. სოვეტ." | 23 | 5 | 6 | 12 | 18-29 | 16 |
| „ფაკელი" | 23 | 4 | 8 | 11 | 15-25 | 16 |

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში



თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 31 ივლისი.

**„ელმავალი" (თბილისი) — „ავიატორი" (კიევი) 10:22 (0:6).**

მართალია, „ელმავალმა" მეოთხე შეხვედრაც წააგო, მაგრამ ენა არ მოგვიბრუნდება საიმისოდ, რომ ახალბედა გუნდს ვუსაყვედუროთ, რადგან იგი გაათკეცებული ენერგიით იბრძვის, ცდილობს, სრულად გამოავლინოს ძალა, დღითიდღე აუმჯობესებს თამაშს.

ერთგვარი წინსვლის მიუხედავად, „ავიატორის" მსგავს გუნდებთან გამარჯვებაზე ფიქრი, ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ნაადრევია. კიევის გუნდი მთელი თავით მაღლა დგას ჩვენსაზე, და თუ სტუმრების უპირატესობის მიუხედავად მატჩი „ელმავლისათვის" ასე თუ ისე „საპატიო" ანგარიშით დამთავრდა, ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, კოკისპირული წვიმა იყო. თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მოედანი დასველდა, გაილუმპნენ მოთელვაზე გამოსული რეგბისტებიც. კიეველებმა საბჭოთა გუნდებისთვის უცხო, წაგრძელებული თეთრი ბურთით ისურვეს თამაში, რამაც არა მარტო ჩვენებს, არამედ მათაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა. თბილისელთა თავგამოდებული თამაში, კიეველთა ტაქტიკური მოუქნელობა, ზედმეტი ფაციფუცი, და ალბათ, უჩვეულო ბურთიც გახდა იმისი მიზეზი, რომ ანგარიში მხოლოდ 25-ე წუთზე [illegible] იხსნა, [illegible] შემდეგ, რაც [illegible] ნებმა აუტიდან ბურთის მოწოდების [illegible] სრული [illegible] მოამზადეს.

მანამდეც და მას შემდეგაც თამაში „ავიატორის" უპირატესობით მიმდინარეობდა. თუმცა ერთი-ორჯერ „ელმავალმაც" იძალა და ტაიმების დასკვნით ათწუთიან მონაკვეთებში კიეველები თავიანთ ნახევარს მიაჯაჭვა. ამის მიუხედავად, სტუმრები, როგორც კი საფრთხეს იგრძნობდნენ, მთელი ძალით ამოქმედდებოდნენ და მყისვე წარმატებასაც აღწევდნენ. ასე გაიტანეს ოთხი ლელო.

რა შეიძლება ითქვას „ელმავალზე"? გუნდს აშკარად აკლია სისწრაფე, გამძლეობა და ღონე, აკლია ლიდერები და ძლიერი შემსრულებლებიც; სუსტია სამეოთხედელთა ხაზი; აუტიდან მოწოდებული ბურთის მოგება პრობლემაა. მხოლოდ ნახევარმცველთა წყვილი და მესამე ხაზის სამეული გამოირჩევიან შეტევის დროს. გუნდს ძალა შემატა ორწლიანი შესვენების შემდეგ კოტე ჭილაიას დაბრუნებამ. მისი სახით „ელმავალს" ახლა ერთობ საიმედო მცველი ჰყავს. ჭილაიას შეტევაც ეხერხება და კარშიც კარგად ურტყამს. პირველ ტაიმში სწორედ მისი გარღვევის შემდეგ ვერ გამოიყენეს თბილისელებმა ლელოს გატანის შესაძლებლობა.

„ელმავალმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჭილაია; ვალიშვილი (კამკამიძე), ხარატი, ლ. გეგენავა, ძაგანელი; შეყლაშვილი, ქერაული (ზ. ცისკარიშვილი); ჩიქვინიძე, ჯინჭარაძე, კ. გიუნაშვილი, ნ. ხარშილაძე, ვართანიანი (ქერტყოევი), გოცაძე, მონიავა, სვანიძე. ლელო გაიტანა სვანიძემ, შეყლაშვილმა და ჭილაიამ კი თითო საჯარიმო შეაგდეს.

**ზაზა ფხაკაძე.**

XXI ტურის სხვა მატჩები: „შევარდენი" — „ელექტრომაში" 9:10, სსა — „ფილი" 13:13. „ეტს" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 6:0.

# 6 მონაწილით მესამე ადგილზე

**თავისუფალ** ჭიდაობაში პოლონეთის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც „ა" კლასის კატეგორიას განეკუთვნება, ტრადიციულად ლოძში ტარდება. ამჯერად ეს ქალაქი მე-15 ასპარეზობას მასპინძლობდა. სსრ კავშირის ნაკრები 6-ჯერ მონაწილეობდა ამ შეჯიბრებაში. წელს პირველად ტურნირზე გუნდურ პირველობაში გამარჯვებულიც გამოავლინეს. საბჭოთა დელეგაცია მხოლოდ საქართველოს ექვსი სპორტსმენით იყო დაკომპლექტებული (დანარჩენები ქვეყნის ნაკრებში ემზადებოდნენ). გუნდურ პირველობაში თითქმის განახევრებული შემადგენლობით გამარჯვებისთვის ბრძოლა, ცხადია, ძნელი იყო. და მაინც, ქართველი ფალავნები მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ. გაიმარჯვა პოლონეთის ნაკრებმა, რომელმაც სარბიელზე 30 მონაწილე გამოიყვანა, ჩათვლაში კი 10 ფალავნის საუკეთესო შედეგები შევიდა. შვიდი მონაწილით მეორე ადგილზე ირანელთა გუნდია. სულ ტურნირში მონაწილეობდა 12 ქვეყნის ნაკრები.



**საბჭოთა** მოჭიდავეებიდან პირად პირველობაში ტურნირში გაიმარჯვა ზაზა ტყეშელაშვილმა (100 კგ, „შრომითი რეზერვები", თბილისი), მეორე ადგილზეა ზურაბ ტატუაშვილი (52 კგ, ასკ, თბილისი), მესამეზე—გოჩა გაბოძე (68 კგ, „დინამო", თბილისი), თამაზ ინდუაშვილი (100 კგ, პროფკავშირები, გორი) და კობა ლოჩოშვილი (მძიმე წონა, ასკ თბილისი). ჩვენი გუნდის მეექვსე წარმომადგენელმა სოხუმელმა გიორგი გულბანმა (პროფკავშირები) V ადგილი დაიკავა.

გუნდს ტურნირზე ახლდნენ ჯ. ლორია (მწვრთნელი) და ო. შოშიტაიშვილი (ხელმძღვანელი).

### ახალგაზრდა ჩემპიონები

**ფილიპინების** ქალაქ ბაგიოში დამთავრდა ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატები ჭადრაკში. ქალთა შორის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ვილნიუსელმა კამილე ბაგინსკაიტემ 9,5 ქულა 11 შესაძლებლიდან. ვაჟებში საუკეთესო შედეგი აჩვენა — 13 შესაძლებლიდან 10 ქულა — ინდოელმა საერთაშორისო ოსტატმა ვიშვანათან ანანდმა. უკრაინელი ვასილი ივანჩუკი ჩემპიონს ნახევარი ქულით ჩამორჩა.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**სან-ხოსე (აშშ).** აქ შედგა მექსიკისა და არგენტინის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი, მექსიკელებმა ანგარიშით 3:0 (2:0) დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონები. 2 ბურთი გაიტანა გალინდომ, ერთი — ლირამ.

ორივე ეს გუნდი პანამერიკული თამაშების საფეხბურთო ტურნირისთვის ემზადება, არგენტინელებმა მინდორზე განახლებული შემადგენლობა გამოიყვანეს, მექსიკელებმა კი ის ფეხბურთელები ათამაშეს, ვინც განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა.

**გლაზგო (შოტლანდია).** აქ გაიმართა „ოთხთა ტურნირის" საინტერესო საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიის „პორტუ ალეგრე" და შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი". მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა — 1:1, დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 5:4. მესამე ადგილი დაიკავა ჰოლანდიის „აიაქსმა".

**ზაგრები (იუგოსლავია).** ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას და 1986-87 წლების იუგოსლავიის ჩემპიონად ბელგრადის „პარტიზანი" გამოაცხადა, თუმცა ეს გუნდი ჩამორჩა „ვარდარს". საქმე ისაა, რომ „პარტიზანს" ბრალდებად წაუყენეს ანტისაფეხბურთო მაქინაციებში მონაწილეობა და შეჯიბრების დასაწყისში 6 ქულა ჩამოართვეს. კლუბის ხელმძღვანელობამ სასამართლოს მიმართა, სასამართლომ კი იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება არასწორად მიიჩნია.

მიუხედავად ამისა, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში იუგოსლავიიდან მონაწილეობას მაინც „ვარდარი" მიიღებს, ვინაიდან უეფა-ს წილისყრაზე სწორედ ეს კლუბი იყო წარმოდგენილი.

# ინსბრუკელები — მყინვარზე

**თბილისთან** დაძმობილებული ქალაქის — ინსბრუკის მთამსვლელთა 14-კაციანი ჯგუფი, რომელიც ამ ორ ქალაქს შორის ურთიერთობის განმტკიცების მიზნით ჩამოვიდა, ეწვია ხდის ხეობას, სადაც კავკასიონის რამდენიმე მწვერვალი დაიპყრო. და აი, სასტუმრო „თბილისის“ ჰოლის მყუდროება მთამსვლელთა გამოცოცხლებულმა საუბარმა დაარღვია. სტუმრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და ქართველ მთამსვლელებს, რომლებიც მრავალჯერ ასულან მყინვარზე, კიდევ და კიდევ ახსენებდნენ გერგეტის მყინვარის მშვენებას, მის განუმეორებელი სილამაზის ადგილებს.

ჯგუფის ხელმძღვანელმა — ინკსბრუკის სამთო-სამაშველო რაზმის უფროსმა რუდოლფ ჰინგერეგერმა განაცხადა:

— მოვლილი გვაქვს დედამიწის მნიშვნელოვანი მთის მასივები. მათ შორის სამხრეთ ამერიკის ქვეყნების პერუს, ეკვადორის, მექსიკის, აგრეთვე მაროკოს, ნორვეგიის მწვერვალები, თურქეთის მხრიდან არარატიც დავიპყარით. ეს მასივები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათ ფონზე მყინვარწვერი ულამაზესი მთაა და თითოეულ ჩვენგანს დიდხანს ემახსოვრება იგი. ეს განუმეორებელი შთაბეჭდილება, ალბათ, იმანაც გააძლიერა, რომ ჩვენს ასვლას შესანიშნავი ამინდი დაემთხვა. განსაკუთრებით ლამაზი იყო მწვერვალი ქვემოდან, მოწმენდილი ცის ფონზე.

● **საგანგებოდ თუ ემზადებოდით ამ ასვლისათვის?**

— ჩვენი ჯგუფი მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებს კარგ სპორტულ ფორმას. ასე რომ, საგანგებო მომზადება არც დაგვჭირვებია. მწვერვალზე გვახლდნენ ქართველი კოლეგები — ტარიელ ლუკაშვილი, გივი გიგაური, ბენო ქაშაკაშვილი, თამაზ ახალბედაშვილი, მათმა რჩევა-დარიგებებმა ჩვენს წარმატებას დიდად შეუწყო ხელი.

დაუვიწყარია მეტეოსადგურის სილამაზე და იქაურ მასპინძელთა სტუმართმოყვარეობა.

● **ამინდი რომ გაფუჭებულიყო, გააგრძელებდით ასვლას?**

— უამინდობა არავითარ პრობლემას არ შეგვიქმნიდა, რადგან ბრწყინვალე გამყოლები გვყავდა და აღჭურვილობაც კარგი გვქონდა.

● **მწვერვალზე მთელი ჯგუფი იყო?**

— დიახ, თოთხმეტივე წევრი ავიდა მყინვარწვერზე, მათგან ყველაზე ახალგაზრდები 18-18 წლისანი არიან, ყველაზე უფროსი — 54 წლისა.

● **რომელ მწვერვალს შეადარებდით მყინვარს?**

— მონბლანს. იგი ძალიან ჰგავს მყინვარს სიმაღლითა და ქანების შემადგენლობით, თანაც იმავე სირთულისაა.

● **არის თუ არა საქართველო ალპინიზმის მხარე?**

— რაც ვნახეთ, თამამად გვაფიქრებინებს, რომ თქვენში ძალზე პოპულარულია ალპინიზმი.

● **ალბათ მეგობრობა გაგრძელდება?**

— დიდად მოხარული ვიქნებით, თუ გაისად საშუალება მოგვეცემა, ქართველ მთამსვლელებს ჩვენს მთებს გავაცნობთ! დიდი სურვილი გვაქვს კვლავ ვეწვიოთ საქართველოს და თხილამურებით დავეშვათ მყინვარწვერიდან, იალბუზიდან.

და ბოლოს, „ლელოს“ მკითხველებს გადაეცით, რომ მოვინახულეთ ბრწყინვალე ქვეყანა, სადაც უალრესად გულთბილად შეგვხვდნენ და კვლავაც სიამოვნებით ვესტუმრებით ასეთ სტუმართმოყვარე მხარეს. ვოცნებობთ ქართველ და ინსბრუკელ მთამსვლელთა ერთობლივ, უფრო რთულ ასვლებზე.

ესაუბრა
**უშანგი ჭიჭინაძე**



# გამორჩეული თავმჯდომარე...

**ეს** მართლაც საგანგებო შემთხვევა იყო: ფედერაციის თავმჯდომარემ ყველაფერი, რაც სპორტს ეხებოდა, ღრმად და საფუძვლიანად იცოდა, მაგრამ გული უფრო კალათბურთზე შესტკიოდა. ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან წლების მანძილზე სპორტის ამ სახეობის რესპუბლიკურ ფედერაციას თავკაცობდა, მერე კი მისი საპატიო თავმჯდომარე გახდა, მაგრამ მიზეზი ამისა სხვა იყო: მას უალრესად განვითარებული ჰქონდა შინაგანი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც უკარნახებდა, ამ საქმეს შენი უნარი, შენი ცოდნა, შენი გამოცდილება სჭირდება და მას ბოლომდე უნდა უერთგულოო.

კალათბურთი მელიტონ (გუგული) დანელიას ახალგაზრდობის წლების გატაცება იყო. მარტო კალათბურთი კი არა საერთოდ სპორტი უყვარდა, კარგად იცოდა მისი ფასი: მისი სასიკეთო გავლენა ცხოვრებაზე, ადამიანის ხასიათზე, მის ყოველდღიურ საქმიანობაზე. იგი ფრენბურთსაც თამაშობდა, კარგი მოცურავეც იყო, მაგრამ კალათბურთის სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა და ამ სახეობის განვითარებისთვის ბევრი ილვაწა.

პრინციპული, დაფიქრებული და სამართლიანი თავმჯდომარე ყველა სადაო საკითხს ოპერატიულად და კოლეგების აზრის გათვალისწინებით წყვეტდა. ეს მისი მუშაობის სტილი გახლდათ. ყველას აზრი, თუნდაც საწინააღმდეგო ან მიუღებელი, იმიტომ აინტერესებდა, რომ სწორი გადაწყვეტილება მიეღო. მოსაუბრეს მოთმინებითა და გულისყურით უსმენდა. საქმეში გარკვევა და ღრმად ჩახედვა იმიტომ სურდა, რომ ყველაფერზე პასუხი ჰქონოდა. თავმჯდომარემ თუ არა სხვამ ვინ უნდა იცოდეს რა უჭირს და რა ულხინს სპორტსმენს, მწვრთნელს, გუნდს, მთლიანად კალათბურთსო, იტყოდა ხოლმე. და ეს მარტო სიტყვები არ იყო. მას თავისი საქმით დიდად დაკავებულ ხელმძღვანელს, რჩევისა და დახმარებისთვის სპორტსმენებიც ხშირად მიმართავდნენ, მაგრამ ამის გამო საყვედური არასდროს უთქვამს. იგი ყველაფერს ასწრებდა, საქმესაც, რჩევის მიცემასაც და გამამხნევებელი სიტყვის თქმასაც.

ქართული კალათბურთის ფლაგმანს თბილისის „დინამოს“ ერთგულობდა და ქომაგობდა. მიაჩნდა, რომ ამ გუნდს შეეძლო ჩვენი ეროვნული სპორტის საუკეთესო თვისებების გამოხატვა. თამაშს რომ არ გამოტოვებდა ეს არაფერი, საოცარი ის იყო, ვარჯიშებზე დასასწრებადაც რომ პოულობდა დროს. ახლო კონტაქტი ჰქონდა მოთამაშეებთან, მწვრთნელებთან, მსაჯებთან...

სანამ შეეძლო და ჯანი მოსდევდა საპატიო პოსტზე იყო, მაგრამ ვაი, რომ მოკლეა კაცის სიცოცხლე.

**საქართველოს ვეტერანი კალათბურთელები.**

## ტელეტაიპი — მკითხველი

**ბორმიო** (იტალია). 20 წლის ასაკამდე კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფში საბჭოთა კავშირისა და იტალიის სპორტსმენები დაწინაურდნენ. მათ ოთხ-ოთხი შეხვედრის შემდეგ 6-6 ქულა აქვთ. მორიგ ტურში ჩვენმა კალათბურთელებმა ტაივანის გუნდი დაამარცხეს — 80:57 (41:28). „ა“ ჯგუფში დაწინაურდნენ იუგოსლავიელები (8 ქულა), რომლებმაც ბოლო შეხვედრაში აშშ-ს ნაკრებს აჯობეს — 110:95 (41:35).

**ვანკუვერი.** ჩოგბურთის ფედერაციის თასი გფრ-ის ქალთა გუნდმა მოიპოვა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან აშშ-ს ნაკრები დაამარცხა — 2:1. გამარჯვების ქულა დასავლეთგერმანელთა კოლექტივს შტეფი გრაფისა და კლაუდიო კოდე-კილშის წყვილმა მოუტანა, კრის ევერტმა და პემ შრაივერმა პირველი პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრეს (6:1), მაგრამ მერე ზედიზედ ორი დათმეს (5:7 და 4:6).

**ოტავა.** კანადის მძლეოსანთა ეროვნულ ჩემპიონატზე სპრინტერთა შეჯიბრება ბენ ჯონსონმა მოიგო. მისი შედეგი — 9,98 წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა.

**ათენი.** ექვსი ქვეყნის წყალბურთელთა ტურნირში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც ოთხი შეხვედრა მოიგო (მათ შორის ბოლო გფრ-თან — 11:9) და ერთიც ფრედ დაამთავრა. ოლიმპიური ჩემპიონი — იუგოსლავიის გუნდი გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა.

**ვარშავა.** 17 წლამდე ასაკის კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატში გამარჯვება სსრ კავშირის გუნდმა მოიპოვა. ფინალში მან ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს აჯობა — 83:58 (50:35). მესამე ადგილისთვის ბრძოლაში იუგოსლავიელებმა ბულგარელები დაამარცხეს — 86:72 (52:40).

**მოსკოვი.** კრილატსკის ოლიმპიურ ველოტრეკზე ორი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. ტალინელმა ერიკა სალუმიაემ 200 მეტრზე გიტში (სვლით) 11,232 აჩვენა და 0,129-ით გააუმჯობესა ლენინგრადელ გალინა ცარიოვას ადრინდელი მიღწევა. თავი გამოიჩინა, აგრეთვე, მოსკოველმა ნიკოლოზ კოვშმა, რომელმაც ამავე სახეობაში 10,123 აჩვენა, რაც მიჰაელ ჰიუბნერის (გდრ) მსოფლიო რეკორდზე 0,103-ით უკეთესი შედეგია.

## ჩემპიონის და რეკორდსმენის

**ნინო** სალუქვაძის შედეგს ლახტიდან დიდხანს და მოუთმენლად ველოდით. ვიცოდით, რომ ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატში მას მონაწილეობა უნდა მიეღო, მაგრამ რომელ სახეობაში და როდის?

ცნობა ჩემპიონატის ბოლო დღეს მოვიდა. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით ქართველი მსროლელი იუნიორთა ტურნირში გამოსულა. მან სტანდარტული პისტოლეტის სროლაში (30 პლიუს 30) ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა და თანაც მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 589 ქულა. ნინო სალუქვაძემ წლევანდელ სეზონში კიდევ ერთი დიდი წარმატება მოიპოვა.

კარგად გამოვიდა ამ ჩემპიონატში მეორე თბილისელი იუნიორი ანდრეი დოლგარიოვიც. მან ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ერთი — მცირე კალიბრიანი პისტოლეტის სროლაში — 577 ქულა (გამარჯვება ფინელ პ. ეტელანიემს დარჩა — 581 ქულა), მეორე — პისტოლეტის ჩქაროსნულ სროლაში — 591 ქულა (აქ ჩემპიონი ლვოველი ტარას მაგმეტი გახდა).

განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები მრგვალ სტენდზე სროლაში (თბილისელი თამაზ იმნაიშვილი, ნოვოსიბირსკელი ალექსანდრე ჩერკასოვი და ბაქოელი ვალერი ტიმოხინი). მათ მოიპოვეს გუნდური ოქროს მედალი და მსოფლიო რეკორდიც (447 ქულა) გაიმეორეს. მეორე-მესამე ადგილებზე გასულ ჰოლანდიისა და გდრ-ის კოლექტივებს ჩვენმა მსროლელებმა 10 ქულით გაუსწრეს.

პირად ჩათვლაში ჩემპიონი ალექსანდრე ჩერკასოვი გახდა — 223 ქულა. სამმა სპორტსმენმა, ჰოლანდიელმა ვან იპერენმა, ტიმოხინმა და იმნაიშვილმა თითო სამიზნით ნაკლები დააზიანეს. ასეთ შემთხვევაში ადგილები ფინალური სერიის შედეგების მიხედვით ნაწილდება. ჰოლანდიელს ვერცხლის მედალი ერგო, ტიმოხინს — ბრინჯაოსი, თამაზ იმნაიშვილი IV ადგილზე დარჩა.

# ათი ოქროს მედალი

გდრ-ში ბავშვთა და მოზარდთა სპარტაკიადები, ტრადიციულად, რაიმე აღმოჩენით მთავრდება ხოლმე. ასე იყო ამჯერადაც, ლეიფციგში XI სპარტაკიადის დღეებში. და, როგორც ყოველთვის, თავი მოცურავეთა ტურნირის მონაწილემ გამოიჩინა.

მისი სახელია დიანა, გვარი — ბლოკი. 13 წლის გოგონა სკოლაში კარგ მოსწავლედ ითვლება. სპორტის გარდა გატაცებულია ფერწერით, უყვარს მუსიკა. დიანას ცურვაში გამოცდილი მწვრთნელი და აღმზრდელი მიჰაელ რეგნერი ავარჯიშებს.

გდრ-ის მოსწავლეთა სპარტაკიადამდე დიანა ბლოკმა მონაწილეობა მიიღო ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში, რომელიც რომში ტარდებოდა. ნორჩ მოცურავეს სპეციალისტებმა ყურადღება პირველად სწორედ აქ მიაქციეს. შედეგები მაინც და მაინც მაღალი არ ჰქონია (VI ადგილი კომპლექსურ ცურვაში და VI ადგილი 200 მეტრზე ბრასში), მაგრამ ახალგაზრდა გოგონას ფიზიკურმა მომზადებამ და ცურვის სტილმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

სპარტაკიადამდე დიანა 12 სახეობაში გამოვიდა და ფანტასტიკურ შედეგს მიაღწია: მოიგო 10 ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. დიანა ბლოკი მსოფლიოს საუკეთესო მოცურავე უნდა გახდეს.

# საზონათშორისო ტურნირებზე

**სმედერევსკა-პალანკაში** მთავრდება ქალთა საზონათშორისო ტურნირი. დარჩა უკანასკნელი ტურის პარტიები. წინ კვლავ ჩეხოსლოვაკიელი ელიშკა კლიმოვა, ნონა გაფრინდაშვილი და მარტა ლიტინსკაია არიან — მათ 13 ტურის შემდეგ 10-10 ქულა მოაგროვეს.

**XII ტურში** გაფრინდაშვილმა მოუგო ნიუბერგს, ლელჩუკმა — ჩავესს, ვუ მინ ციანი დამარცხდა ლიტინსკაიასთან, დე არმასი — კლიმოვასთან, მადლმა სძლია მარიჩს, იზრაილოვმა — იან ფენს, ვოისკალევიტინასა და არკელ-მარკოვიჩის შეხვედრები გადაიდო.

**XIII ტურში** ასეთი შედეგები აღინიშნა: ლელჩუკი-მადლი — 1:0, გაფრინდაშვილი-ჩავესი — 1:0, ვოისკა-ნიუბერგი — 1:0, ლევიტინავუ მინ ციანი — 1:0, ლიტინსკაიაარკელი — 0:1; კლიმოვა-იან ფენი — 1:0, მარკოვიჩი-დე არმასი და მარიჩი-იზრაილოვი დაზავდნენ.

ლიდერთა სამეულის შემდეგ მოდიან ზოია ლელჩუკი — 9,5, ირინა ლევიტინა — 9 (1), ინა იზრაილოვი — 9, ილდიკო მადლი, ალისა მარიჩი — 8,5-8,5.

**ტუზლაშიც** ორი ტური გათამაშდა. აი, მათი შედეგები. **XII ტური:** ივანკა-ვერეცი — 0,5:0,5, იოსელიანი-სემიონოვა — 0,5:0,5, ბრუსტმანი-მატვეევა — 0,5:0,5, ლებელ-არიასი-კადილკარი — 0,5:0,5, მაქსიმოვიჩი-ლუ შილანი — 0:1, ნიკოლინი-ჰოიბერგი — 0:1, ფრომეტა-პეტროვიჩისა და არახამიასახატოვას პარტიები გადაიდო. **XIII ტური.** სემიონოვა-არახამია — 1:0, კანელა-იოსელიანი — 0:1, მატვეევა-ლებელ-არიასი — 1:0, სახატოვა-ბრუსტმანი — 0:1...

გადადებული პარტიის დამთავრებისას არახამიამ მოუგო სახატოვას.

ამრიგად, 13 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ნანა იოსელიანი — 10,5, ლიდია სემიონოვა, აგნეშკა ბრუსტმანი — 9,5-9,5, ქეთევან არახამია — 9, სვეტლანა მატვეევა — 7,5, გულნარა სახატოვა — 7.

**სირაკში** მიმდინარე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირში 12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ჯონ ნანი (ინგლისი), იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) — 9-9, ვალერი სალოვი, ალექსანდრე ბელიავსკი — 8,5-8,5, ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) — 8.

**ზაგრებში** კი პირველი-ორი ტური გათამაშდა ვაჟთა მესამე, უკანასკნელი საზონათშორისო ტურნირისა. აქ 17 მონაწილეს შორის სამი საბჭოთა მოჭადრაკეა — ლევ პოლუგაევსკი, ვიაჩესლავ ეინგორნი და იან ელვესტი. დაწინაურდნენ ელვესტი, ეინგორნი, ხესუს ნოგეირასი (კუბა) და იოჟეფ პინტერი (იუგოსლავია). მათ 1,5-1,5 აქვთ.

## „სპორტლოტო“

**2 აგვისტოს** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 31-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-იდან:** 3 (ბობსლეი), 20 (აფროსნობა), 22 (წყალში ხტომა), 27 (მშვილდოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 37 (აკრობატიკა).

**„სპორტლოტო 5 36“-იდან:** 3 (ბობსლეი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 15 (ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა), 20 (აფროსნობა), 35 (ბალახის ჰოკეი).

## „სპორტპროგნოზი“

**31 ტირაჟის შედეგები**
**(1 აგვისტო)**

1-X, 2-2, 3-1, 4-X, 5-2, 6-1, 7-2, 8-X, 9-2, 10-1, 11-1, 12-1, 13-1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 4 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის თასი ფეხბურთში. მერვედფინალი. ცსკა — „ტორპედო“ (მოსკოვი). მე-2 ტაიმის გადმოცემა — **20.30 (2).**

**საქართველოს რადიო. 4 აგვისტო.** სსრ კავშირის თასი ფეხბურთში. მერვედფინალები. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი) — **21.00;** „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (სოხუმი) — **21.50.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუს ხში, ხოშარიძულის ქ. 29. უე 07958